

გაეროს ეროვნული სააგენტოს აჭარის პირობათმომხრებელი ორგანიზაციის წევრები

დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი, ცვალებადი მიმართულების ქარი - 10-15 მეტრი წაშში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 5-10, შიდაპოვანი რაიონებში - 1-6 გრადუსი სითბო, მაღალ მთაში - 0-5 გრადუსი ყინვა.

ზღვის წყლის ტემპერატურა 8 გრადუსია, ატმოსფერული წნევა - 762 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

კრიკოსი N იუსი

საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ორბელიანების სასახლეში არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს უმასპინძლა და ეროვნული თანხმობის პროცესთან დაკავშირებით საკუთარი ინციტივის შესახებ ისაუბრა. „ეს უნდა გავრცელდეს საზოგადოების ფორმატში და მომავალ დღეებში ამ ფორმატს ჩამოვყალიბებთ, რათა მომავალი წლისთვის მზად ვიყოთ ახალი ფორმატის შესათავაზებლად და ამ პროცესში, ცხადია, თქვენ გქონებათ ძალიან მნიშვნელოვანი როლი“, - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკისა და რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე საქართველოს მთავრობის მიერ რატიფიცირებისთვის წარდგენილი ორი საერთაშორისო ხელშეკრულება განიხილეს. საქართველოსა და ევროპის საინვესტიციო ბანკს შორის ფინანსური ხელშეკრულება ითვალისწინებს ოპტიკურ-ბოჭკოვანი სატელეკომუნიკაციო ქსელის მშენებლობას საქართველოს სოფლებში, მათ შორის მაღალმთიან დასახლებულ პუნქტებში. პროექტი 2025 წლამდე უნდა დასრულდეს.

მშენებლობის ტერიტორიაზე მწვანე სივრცის მოწყობის პროექტის წარდგენა სამშენებლო კომპანიებისთვის სავალდებულო გახდება. ამას ითვალისწინებს „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურისა და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ კანონპროექტი, რომელიც რეგიონული განვითარებისა და თვითმმართველობის კომიტეტმა გუშინ პირველი მოსმენით განიხილა. „მშენებლობის ნებართვით განსაზღვრული პირობების შესრულება სავალდებულო იქნება ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებამდე“, - განმარტა მომხსენებელმა, პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე მია ბითაძემ.

მმართველი პარტიის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე, აღმასრულებელი მდივანი მამუკა მდინარაძე და რეგიონული მდივანი დიმიტრი სამხარაძე სამეგრელოს რეგიონული ორგანიზაციის წარმომადგენლებს შეხვდნენ. ზუგდიდში, „ქართული ოცნების“ რეგიონული ოფისში გამართულ შეხვედრებზე ადგილზე არსებული პოლიტიკური ვითარებაზე იმსჯელეს. განისაზღვრა პარტიის სამომავლო გადაწყვეტილებები.

„ბრანტების შესახებ“ კანონის პროექტს კარლამენტის კომიტეტი განიხილა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი კანონპროექტი „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განიხილეს დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკისა და რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტმა ერთობლივ სხდომაზე. ინფორმაციას ამის შესახებ საქართველოს პარლამენტი ავრცელებს.

„მომხსენებლის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის ვლადიმერ მაგლოზიშვილის თქმით, ორწლიანი დაკვირვების შედეგად, გამოიკვეთა აღნიშნული ცვლილების განხორციელების საჭიროება, რითაც აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ნორმატიული აქტით შექმნილ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელსაც აქვს ან ექნება კომპეტენციები ახალგაზრდული პროექტებისა და დასაქმების ხელშეწყობის პროგრამების მიმართულებით, მიეცემა ამავე შინაარსის გრანტების გაცემის შესაძლებლობა.

მომხსენებლის შეფასებით, ამით თვისობრივად ახალ ეტაპზე გადავლენ ის ორგანიზაციები,



რომლებიც ამ პროფილით მუშაობენ. მისივე თქმით, საკითხის ინიცირებამდე აღნიშნული პროექტი საქართველოს მთავრობასთან არის შეჯერებული.

დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკისა და რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტების წევრებმა ერთობლივ სხდომაზე მხარი დაუჭირეს განხილულ კანონპროექტს“, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

კანონპროექტის ავტორები არიან აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე და უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვლადიმერ მაგლოზიშვილი.

გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელს საქართველოში დასან ხალილს შეხვდნენ

ნაირა შუტპარაძე 27 48 93

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ტიტე არაშიძე და საქართველოს პარლამენტში ბათუმის მაჟორიტარი დეპუტატი რესან კონცელიძე გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელს საქართველოში დასან ხალილს შეხვდნენ.

„შეხვედრაზე ბავშვთა უფლებების დაცვაზე, მათ წინაშე არსებული გამოწვევების - ბუღინგის, ძალადობის სხვა ფორმების აღმოფხვრაზე, სამოქალაქო საქმიანობაში მათი ჩართულობის გაზრდის უზრუნველყოფისათვის განსახორციელებელ აქტივობებზე და სკოლამდელი და ზოგადი განათლების გაძლიერების საჭიროებებზე ისაუბრეს.



„შეხვედრის შემდეგ „ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით შემუშავდა, ქალაქ ბათუმის ახალგაზრდულ ცენტრში 14-17 წლის მოზარდებს წარუდგინეს. შეხვედრა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ბავშვების ჩართულობას ადგილობრივ დონეზე და მათი საჭიროებების გამოკვეთას ისახავდა მიზნად.

ქურნალისტიები აჭარაზე სპეციალურ საინვესტიციო ვიდეოსერიაზე მოამზადებენ

ნაირა შუტპარაძე 27 48 93

მედიაორგანიზაციების წარმომადგენლებს აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი ჯაბა ფუტყარაძე და აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის უფროსი თინათინ ზოიძე შეხვდნენ.

შეხვედრაზე საუბარი აჭარაში მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებს, საინვესტიციო გარემოს, ეკონომიკურ და ტურისტულ პოტენციალს შეეხო.

ბიზნესმედიაკომპანიების წარმომადგენლები აჭარის საინვესტიციო და ტურისტული გარემოთი დაინტერესდნენ.

ქურნალისტიები აჭარაზე სპეციალურ საინვესტიციო ვიდეოსერიაზე მოამზადებენ. მედიაორგანიზაციების პლატფორმა 20 მილიონზე მეტ მაყურებელს აერთიანებს.



